ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 27

3 თებერვალი
"---"-------- 2015 წ

ქ. თბილისი

შპს „თბილისის სატრანსპორტო კომპანიის" კაპიტალის კორექტირებასთან (შემცირებასთან) დაკავშირებით ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანხმობის გაცემის თაობაზე

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის 100%-ანი წილობრივი მონაწილეობით დაფუძნებული შპს „თბილისის სატრანსპორტო კომპანიის" ადმინისტრაცია 17/12/2014 წლის №01/6236 (რეგისტრ. №QN1273993) განაცხადით აღნიშნავს, რომ 2008 წლის 01 მაისს (საჯარო რეესტრში განაცხადის რეგისტრაციის №882008016333) ქ. თბილისის სახელმწიფო ქონების აღრიცხვისა და პრივატიზების სამმართველოს 2008 წლის 14 აპრილის №2-22/981 წერილის საფუძველზე სახელმწიფო საკუთრებაში დარეგისტრირდა ქ. თბილისში, მრევლიშვილის ქუჩაზე მდებარე 16721 კვ.მეტრი მიწის ნაკვეთი (საკადასტრო კოდი 01.12.12.024.141) 9 (ცხრა) ერთეული შენობა-ნაგებობით, საერთო ფართით 6950.06 კვ.მეტრი. ქალაქ თბილისისათვის ქონების გადაცემის შესახებ 2008 წლის 9 ივლისის ხელშეკრულების საფუძველზე მოცემულ უძრავ ქონებაზე დარეგისტრირდა ქალაქ თბილისის თვითმმართველი ერთეულის საკუთრების უფლება (საჯარო რეესტრში განაცხადის რეგისტრაციის №882008213685), ხოლო მოგვიანებით, 2012 წლის 3 ივლისს (საჯარო რეესტრში განაცხადის რეგისტრაციის №882012310130), ქალაქ თბილისის მთავრობის 2012 წლის 31 მაისის №15.44.560 დადგენილების თანახმად, აღნიშნული უძრავი ქონების ნაწილზე - 5549 კვ.მეტრ ფართზე (საკადასტრო კოდი 01.12.12.024.150) 3 (სამი) ერთეული შენობა-ნაგებობით კვლავ დარეგისტრირდა სახელმწიფოს საკუთრების უფლება. ხსენებული სამი შენობა-ნაგებობა, როგორც მეტროპოლიტენის საწარმოო საყოფაცხოვრებო კორპუსი და ე.წ. დეპოს ფარეხი ირიცხებოდა და 2014 წელს ჩატარებული ინვენტარიზაციის თანახმად, კვლავ ირიცხება შპს „თბილისის სატრანსპორტო კომპანიის" ბალანსზე, რომელთა ნარჩენი ღირებულება შეადგენს 132

257.24 (ას ოცდათორმეტი ათას ორას ორმოცდაჩვიდმეტი ლარი და ოცდაოთხი თეთრი) ლარს.

შპს „თბილისის სატრანსპორტო კომპანიაში“ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოდან 2014 წლის 17 ნოემბერს შემოსული წერილის თანახმად, ირკვევა, რომ განხორციელდა ზემოაღნიშნული 5549 კვ.მეტრი ფართის გამიჯვნა ორ დამოუკიდებელ - 747 კვ.მეტრ (საკადასტრო კოდი 01.12.12.024.182) და 4802 კვ.მეტრ (საკადასტრო კოდი 01.12.12.024.183) უძრავ ქონებად, რომელთაგან პირველი გადაეცა დევნილებს, ხოლო მეორესთან მიმართებაში იგეგმება ელექტრონული აუქციონის ფორმით პრივატიზების განხორციელება.

გარდა აღნიშნულისა, კომპანიის ბალანსზე ირიცხება ქ. თბილისში, ჭყონდიდელის ქ. №22-ში (საკადასტრო კოდი 01.12.12.024.079) მდებარე სს „მრეწვრკინიგზას“ (ს/ნ 208145390) საკუთრებაში არსებული (საჯარო რეესტრში განაცხადის რეგისტრაციის №882009368971) უძრავი ქონებიდან ზოგიერთი შენობა-ნაგებობა - გასასვლელი ჯიხური, კონდენსატის გადასატუმბი სადგური და ფეკალური წყლის სატუმბი სადგური, რომელთა ნარჩენი ღირებულება 2014 წლის 25 აგვისტოს მდგომარეობით, საერთო ჯამში, შეადგენს 410.08 (ოთხას ათი ლარი და რვა თეთრი) ლარს. მითითებული უძრავი ქონებიდან კომპანიის ბალანსზე ირიცხება ასევე სანიაღვრე კანალიზაცია და ტერიტორიის ბეტონ-ასფალტის ფენილი, რომლის ნარჩენი ღირებულება შეადგენს 0 (ნულ) ლარს.

იმის გათვალისწინებით, რომ ზემოხსენებული ქონება არ წარმოადგენს შპს „თბილისის სატრანსპორტო კომპანიის“ საკუთრებას და აღნიშნული ქონებით სარგებლობა არ განხორციელებულა და არც მომავალში იგეგმება მისი გამოყენება ითხოვა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობისაგან კომპანიის კაპიტალის კორექტირება (შემცირება) და ამ მიზნით 21/01/2015 წლის №01/355 (რეგისტრ №QN1280530) განაცხადით წარმოადგინა აუდიტორული კომპანია შპს „ახვლედიანი აუდიტ კონსალტინგის“ (ს/ნ 205236840) 28/12/2014 წლის №1/301 აუდიტორული დასკვნა.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 75-ე მუხლის „დ.ბ“ და „ე.თ“ქვეპუნქტების, 127-ე მუხლის მე-2 პუნქტის, „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის 9^1 მუხლის „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის 50%-ზე მეტი წილობრივი მონაწილეობით შექმნილი საწარმოების ქონების (ბალანსზე რიცხული ძირითადი საშუალებების) განკარგვის

(გასხვისების ან/და სარგებლობის უფლებით გადაცემის) და ინვენტარიზაციის და ამორტიზებული ან გამოუყენებელი ქონების ჩამოწერის წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-100 დადგენილებით დამტკოცებული „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის 50%-ზე მეტი წილობრივი მონაწილეობით შექმნილი საწარმოების ქონების (ბალანსზე რიცხული ძირითადი საშუალებების) განკარგვის (გასხვისების ან/და სარგებლობის უფლებით გადაცემის) და ინვენტარიზაციის და ამორტიზებული ან გამოუყენებელი ქონების ჩამოწერის წესის“ მე-5 მუხლის საფუძველზე:

1. თანხმობა მიეცეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას შპს „თბილისის სატრანსპორტო კომპანიის“ (ს/კ 202886788) კაპიტალში (ბალანსზე) რიცხული, დანართი 1-ით გათვალისწინებული ქონების მთლიანი ღირებულებით შპს „თბილისის სატრანსპორტო კომპანიის“ (ს/კ 202886788) კაპიტალის კორექტირებასთან (შემცირებასთან) დაკავშირებით.

2. განკარგულება ერთი თვის ვადაში შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. №6).

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ალიბეგაშვილი

დანართი №1

შპს „თბილისის სატრანსპორტო კომპანიის“ (ს/კ 202886788) კაპიტალის კორექტირების (შემცირების) ნუსხა

№	კაპიტალში (ბალანსზე) რიცხული ქონების დახასიათება	კაპიტალის კორექტირების (შემცირების) ოდენობა (ლარი)	შენიშვნა
1	ქ. თბილისში, მრევლიშვილის ქუჩაზე მდებარე (საკადასტრო კოდი 01.12.12.024.150 რეგისტრირებულია სახელმწიფო საკუთრების უფლება) ქონება (მეტროპოლიტენის საწარმოო საყოფაცხოვრებო კორპუსი და ე.წ. დეპოს ფარეხი) ნარჩენი ღირებულებით 129866,06 ლარი	129 866,06	შპს "ახვლედიანი აუდიტ კონსალტინგის" (ს/კ 205236840) 28/12/2014 წლის აუდიტორული დასკვნა №1/301
2	ქ. თბილისში, ჭყონდიდელის ქ. №22-ში (საკადასტრო კოდი 01.12.12.024.079 რეგისტრირებულია სს „მრეწვრკინიგზას“ (ს/ნ 208145390) საკუთრების უფლება) მდებარე ქონება (გასასვლელი ჯიხური, კონდენსატის გადასატუმბი სადგური და ფეკალური წყლის სატუმბი სადგური) ნარჩენი ღირებულებით 338,14 ლარი	338,14	
3	ქ. თბილისში, ჭყონდიდელის ქ. №22-ში (საკადასტრო კოდი 01.12.12.024.079 რეგისტრირებულია სს „მრეწვრკინიგზას“ (ს/ნ 208145390) საკუთრების უფლება) მდებარე ქონება (სანიაღვრე კანალიზაცია და ტერიტორიის ასფალტის ფენილი) ნარჩენი ღირებულებით 0 ლარი	0	
სულ შპს „თბილისის სატრანსპორტო კომპანიის“ (ს/კ 202886788) კაპიტალის კორექტირების (შემცირების) ოდენობა (ლარი)		130 204,20	